



სტრუქტურა

ო.რ.კ.პ.ი.რ.ე.უ.ლი ს.ა.მ.ს.ა.ბ.ა.ბ.რ.ლ.-ს.ა.ლ.ი.ბ.ი.ბ.ი.ა.ბ.ა.ბ.რ.ლ. შ.უ.რ.ა.ნ.ა.ლ.ი

განცხადების ტარიფი:		ხელის მოწერა:		ჩრდაქციისა და კონტარის	
ერთი გვყრდი	150 მ.	ერთი წლით	10 მან.	მიხამართი:	
ნახევარი გვყრდი	75 მ.	სამი თვით	3 "	რუსთაველის პრ., № 22.	
მკითხველი გვყრდი	50 მ.	ცალკე ნომერი ყველგან	50 კ.	მიიღება ხელის მოწერა დილის 8—2 ს.	

№ 26

ო.რ.ს.ზ.ა.ბ.ა.თ.ი 25 თებერვალი, 1925 წ.

№ 26

კონკრეტული
პარტიული
ჯგუფების

ო. თ. ხ. ი. ვ. ე. ლ. ი

ოთხი წელი შესრულდა, რაც საქართველოს სახელმწიფო ხომალდის მესაქედ მუშები და გლეხები გახდნენ. ოთხი წლის წინად, ანტანტის იმპერიალიზმის რკალში ჩამწყვდეული ჩვენი ქვეყანა, მუშების და გლეხების დევნით გაბრძოლების წყალობით, მსოფლიო რევოლუციის აქტივში გადაიბრუნდა, სოციალისტურ რესპუბლიკათა მჭიდრო რიგებში ამაყთა ჩადგა.

ჩვენ ერთი თვალის გადავლებით აღენუსხავთ იმ მიღწევებს, რომელიც მოვიპოვეთ სულიერ და მატერიალური კულტურის ყოველ დარგში.

ქვეყნის კეთილდღეობისთვის საჭიროა ეკონომიური ბაზისი და ვიწყებთ აქედან:

საქართველომ ყველას გაუსწრო დიდი მასწავლებლის სიტყვების განაღდებაში: „სოციალიზმი—საბჭოთა ხელისუფლება ელექტროფიკაციის მიმატებით“. ქვეყანა მტკიცე და მოზომილი ნაბიჯით მიემართება ელექტროფიკაციისაკენ და ჩვენი თაობა მოესწრება იმ დროს, როდესაც ელექტრონი გაანათებს ყოველი მივარდნილი კუთხის მიყრუებულ სოფელსაც-კი. მაგრამ თერთი ნახშირის იაფი ენერჯია უპირველესი პირობაა

ჩვენი მიწვევლობის განვითარებისთვის. და თუ დღეს ჩათახი სუბსიდიებითა და სახელმწიფო პროტექციონიზმის წყალობით არსებობს, ელექტროფიკაციის შემდეგ პროდუქციის სიდიეთა ის გაუტალღდება დღეს მის მოქმეპე წარმოებებს.

შვი ქვის, ჩვენი ოკრის ვერძის, მიწვევლობისთვის ფართო პერსპექტივები იშლება. ქვანახშირის წარმოება ომის წინადროინდელ ნორმებს აჭარბებს. ინდუსტრიის ყოველი დარგი განიცდის ნორმალურ ზრდას და ომის წინადროინდელი კალაპოტიც არ ყოფნის.

პარალელურად მოცულობა მუშის ხელფასის საკიობიც და მისი ბიუჯეტიც გაიზარდა.

მაგრამ საქართველო სასოფლო მეურნეობის ქვეყანა და მეურნეობის ეს დარგი უნდა მოვეყვს ჩვენი ყურადღების ცენტრში.

მიწის რეფორმა დასრულდა და მიწის დაეუფლა მისი კანონიერი პატრონი—მიწის მუშა. საქართველო ისე არებთა და ბევრს უდაბნო და პარტახტ კუთხის საქართველოს ბელად გადაქცივის პერსპექტივა უღიმის. მეაბრეშუმებამ ომის წინადროინდელ მდგომარეობასაც-კი გაუსწრო. თამბაქოს წარმოებაც წელს იმაგრებს. ფართო მასშტაბით იწყება ჩაის წარმოების საქმე, რომელმაც მთელი კავშირის მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს. ენერჯიული ზომები მიღებული სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციისთვის.

კოოპერაციის მოქმედების ტერიტორიაც გაფართოვდა, მან თავის მოქმედების არეში მოსახლეობის დიდი ნაწილი მოაქცია.

ამ ეკონომიური პროგრესის საძირკველს მტკიცე ვალიუტა შეადგენდა, რომელმაც შესაძლებელი გახადა წესიერი მეურნეობის წარმოება.

საბჭოთა იუსტიციის წარმართვენ მუშები.

ხალხის ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ციფრები წინა წლებთან შედარებით რკოვრდს აღწევენ.

კულტურული ფრონტი ხელისუფლების ყურადღების განსაკუთრებულ ობიექტს წარმოადგენდა, რომელიც ამ ფრონტისთვის უჩვეულო ხელგაშლილობას იჩენდა. შკოლებისა და მოსწავლეთა რიცხვის ზრდა ამ ფრონტის ძირითადი ტენდენცია იყო.

ხელისუფლება ზრუნავდა ხელოვნებაზე, რომელიც მუდამ საჭიროება და საქართველოში მეცინატებს.

მხოლოდ ამ ოთხი წლის წყალობით ფართო მასებისთვის ხელოვნება შეიქმნა ხელმისაწვდომი.

ყველა ამ მიღწევათა გარდა, საბჭოთა ხელისუფლებამ ამიერ-კავკასიაში დაამყარა ერთა სოლიდრობა, რომელიც უპირველესი პირობაა მშვიდობიანი აღმშენებლობითი მუშაობისთვის.

და ყველა ამ მიღწევით თავის ძალეში დაჯგუფებული საბჭოთა საქართველო წარმუხურებლათ იცქირება ბრწყინვალე მომავლისაკენ.



დიდი შავათი

— უღანოთ გინდა, ყმაწვილო, ყელი გამოიჭრა?
შამშეს აიღლებებს სახლის გამგე გულგორღად უტყე-
როდა.

— შეველე ჩემი ოთახის კარები და ვილაყ ბენძლი
რუსის დედაკაცი შემეფეთა, კატა გულში ჩაეხტებოდა,
ფინია ილიაში ამოერკო. მოწყობილა ის მამაცინებულ-
ლი ჩემს ბინაში, ერთ ლოგინზე ოცი ბალიში დაუყრია.
ზრდილობით მივმართე--ვილაყს შევლომაში შეუყვანი-
ხარ, ჩემი ოთახი დაგიკავებია. ფიცი, ღმერთი დროებით
ვყავი ნათესავებში წასული.. ხიღები აფეთქეს, ამან შე-
მავეიანა. ოთახის დაცლა ვთხოვე. ხომ იცი ჩემი ამბავი,
ზრდილობაში ვარ გაზრდილი--კაცურად ველაპარაკე.
იმ ჩემნალამ კი ცხვირი ამიბზუა, გვერდიდან ვადმოხე-
და, დაცივდაც მაკარა: თუ აქ ცხოვრება გინდოდა, რა
მივაგრებინებდაო. ცივი უარი მტკიცა, კარები ცხვირის
წინ მომიხურა..

სახლის გამგე ქვასავით ცივი იყო. სახლის გამგეს
მხოლოდ ამ უნაყოფო ლაპარაკის ვათავებდა უნდოდა.
ზარმაცად უყურებდა ჩამოვრცეულ კედლებს და კედლებ-
ში ტყეჩებს გვერდის ნეკნებით რომ ჩამომწყრივებულან.
— სად წავიდე ნამგზავრი კაცი. ვის მივადგე ბარგი?
დღერფენას კუთხეში მივდებელი იყო ხურჯინი.
შამშემ შენიშნა სახლის გამგეს თვალი ხურჯინზე
მიჩერებულო.

— დანარჩენი არ წამილია.. ტახტი ოთახში დავტოვე.
შამშე პასუხს უცდიდა. სახლის გამგე შამშეს წასვ-
ლას უცდიდა. ხურჯინი მოხენებით ეგლო კუთხეში..

— პატიოსნათ მინდოდა შესვლა. თუ ასე არ გინ-
დათ, კანონი არ დახურულა საქონო! არც სულ განწი-
რული გყავართ ღმერთს.

იგრძო შამშემ--უბნით რჩებოდა, ხელები ჩიხის
ჯიბებში ჩააწყო. სახლის გამგეს თვალბნებ ჩახებდა. იმე-
დი ეკარგებოდა, როცა მიხვდა, რომ წყენით არაფერი
გაუციდოდა სახლის გამგე ვანზე ვაიხში, ქალარა შეაბრა-
ლა, წარსული მოაგონა. რამდენიმე წელიწადს სცხოვრო-
ბდა, მისგან წყენა არავის ახსოვს, კარგი მეზობელი იყო.
მართალია ხანდახან ქირის გადახდა უფვიანდებოდა, მაგ-
რამ ღმერთმაც ციცი, ცულუტუბით არ მოსდიოდა, ვა-
ლი ბევრი არაფერი გაყოლია, იმისაც ვადაიხის, ნამუსზე
ხელს როგორ აიღებს.

სალამის შამშემ მოაწყვეს. დაუტოვალს მისი ყოფილი
ოთახის გვერდით პატარა საუკუნო. დატოვებული ტახ-
ტი მოუძებნეს. საიდგანაც სანათივ გამოუნახეს. მეტი
რაც უნდოდა. კარგათ ეტყოდა ოთახში ტახტი, თა-
როზე სანათი და ტახტ ქვეშ ხურჯინი. მარტოხელა კაცს
არც ამ ბნელ საუკუნაში უტყობს რა. კიდევ კარგი რომ
ესა აქეს. ხომ შეიძლებოდა სულ ვართ დავტოვებოთ!

ინავე სალამის შამშემ ძველი ნაცნობი მეღატეჩე
ინახულა. წინათ ნისითი მოქონდა ხოლმე მისგან წვრი-
მლი რამე. კაცს ყოველთვის ჯიბეზე შეიძლება არ გეჭ-
ნეს ფული. ვინაა ისეთი, ხელსმომპაროვა არ დასტირვე-
ბოდეს. ამაში საძრახისი არაფერია. ერთი-ორი ნაცნობი
ნახა, ამავე გამოკითხა და დაბრუნდა.
შეკვილილი დაინახა ბევრი რამ. თითქოს იგივე ქუ-

ჩებია, იგივე სახლები, იგივე ხალხი, მაგრამ რომ დატოვა
ის აღარაა. ქუჩებიც სხვაგვართ ხმაურობენ, ხალხიც
გამოცვლილა, ისე აღარ ლაპარაკობს, ისე ვეღარ გეოა-
მამება, მის სახეზე ვერაფერს ვაივებ, მწუხარება თუ გა-
ხარებული, ფიქრობს თუ არაფერზე ფიქრობს.

ეუსტოვა და თან შიში იგრძობო. შიში დღეების,
რომელიც წინ იყო და არაფერს ეუბნებოდენ. თითქო
ყოველი დღე ცალკე იყო კვირაში, თვეში, წელიწადში.
იყო მხოლოდ წარსული. დრო მხოლოდ განვლილს
აჩვენებდა.

მეზობელ ოთახებში სანთლები გაჩაღდა. გაისმა უ-



უნშლიტი. საშხ. და სახლეთო საქ. სახ.
კომისიის მოადგილე და საკავშ. რეგ-
საშხ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ხის ხმა, ლაპარაკი. ზედასართულიდან გრამაფონის ღრი-
ალო.

კოტით დაეჭრდა ტყვილი და შიში როცა ადა-
მინების სიახლოვე იგრძნო.

დაღალული სხეული მოხენებებს ითხოვდა. ხურჯინი
ბალიშით ამოიღო, ახალში გადაიფარა.

ძველი ოთახიდან რუსი დედაკაცის ხმა მოესმა. მამა-
კაცეც ზოხა ხნით იკინოდა. კოვზის რაკუნი სტაქანში,
სამოვარის სედიანი მელიოდა.

თვალწინ წარმოუდგა შეჩვეულ ოთახის კედლები,
გაბზარულ ქერზე დაკანაქილი ზოლი, კედლის ფეხთან
შპალერის მაგიერ აკრული ქალაღი, რომელზედაც მე-
ზობლის ბავშვები, მასთან სიარული რომ უყვარდათ, სწერ-
დენ თავიანთ სახელებს და ხატავდენ ძალღმის და უფოთ-
ლო ხეს.

წარსული სიზმარივით გაქრა. თითქო საშინელმა
ქარიწალმა ვადისროლა. ის დღეები, კვირები, სანამ
ძველ ოთახიდან საუკუნაში ამოყოფდა თავს, იყო საყვ-
ბურუსითი, გაურკვეველი.

ღამე აცოცხლებს წარსულს. მეორედობა საშინელი
სიზმარი იმ ოთახიდან ამ ოთახში მოგზაურობის:



ანს. ბუღიონი. ცხენოსანი არმიის სარდალი.

დამარცხებული ჯარი ერთბაშათ დაიძრა თბილისი-დან. სადგური და სადგურის ახლო ქუჩები სავსე იყო მოქალაქეებით, რომელთაც მიჭონდათ აუცილებელი გახიზნებისთვის. გუნდებს ჩამორჩენილი ჯარისკაცები იერიშით მიდიოდნენ ვაგონებში შესასვლელად. თუ ადგილები დაქვრივი ქონდათ ქალებს და ბავშვებს, ჯარისკაცები ძალით ყრბდნენ და იჭერდნენ მათ ადგილებს. არავის უფიქრია რომ ეს სისასტიკეა.

მატარებლები მალმალე გადიოდა. შიში, რომ დაილეოდა, იზრდებოდა ყოველ მატარებელის გასვლისას და დაჩერნილი ბრბო გახლებული ეხვეოდა მორიგ ვაგონებს. ხალხი ეკიდა სიფეხურებზე, ეყარა სახურავებზე, ირთქლმავლის ვიწრო გალავანზე. მატარებლები გადიოდა უხიაროთ.

ღლით არც ერთი ჯარისკაცი და გვარდიელი აოდაჩენილა ქალაქში. ფეხაშლილი გუნდები მიყვებოდნენ ლიანდაგ დასავლეთისკენ, შარა გზაზე აჭარებოთ მიაბიჯებდნენ ათასეულები. ატალახებულ თოვლში ევლდებოდა ფურგუნები დატვირთული პურიით, შაქრით, ტაი-სამოსით. გამხდარ და მშიერი ცხენებს უჭრდთ საიარული და ჯარისკაცების დაუზოველ მათრ ხების ქვეშ ხენფიით მიათარებდნენ ტვირთს. ავტომობილ ბი საესე მოქალაქეებოთ, ქალებით და ბავშვებით, ჩქარობდნენ და წინ უსწრებდნენ ფეხით მიმავალთ. ხმაურით და გრუბუნით მოდიოდა არტილერია.


ღლით შეწყდა თოვა. მთებზე და მინდვრებზე იდგა მალალი თოვლი, სოველი და რბილი. ვაშო ჩდა არაგვი ვიწრო და წმინდა, მცხეთის დათოვილი სვეტიცხოველი.

ყოველ სადგურზე რამოდენიმე ჯარისკაცი ეთხოვებოდა თავის ამხანაგებს, სტოვებდნენ გუნდებს და მიდიოდნენ თავიანთ სოფლებსკენ. მთიულეები გაპყვენ გზას მცხეთიდან, ქართლულების უმრავლესობა თანდათან იფანტებოდა ხაშურამდე და მხოლოდ იმერლები ვადადიოდნენ ლიხის დასავალს.

ვაგონებში მოწყობ-ლყვენ გახიზნულები. საჭირო არ აყო შუამაველი გაცნობისათვის. ადგილათ უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. ყველა იჩნდა გულუხვობას. ამოლაგეს პურები, ყველი, ხორცი. აადლუეს წყალი, სვამდნენ ჩაის, გამოძებნეს თბილი დასახურავები. იმერეთი იყო სანატრელი სახლვარი, სადაც უკანასკნელად ყველა დამვიდლებოდა. იგონებდნენ დარჩენილებს. ვინ იცის რა ხდებდა ახლა ქალაქში!

ყველას ქონდა იმედი, რომ იმერეთი მიიღებდა მათ მზრუნველობით. კაცი არსად დაიკარგება, მით უფრო თავის ქვეყანაში. ყველას ყავს ნაცნობი, მეგობარი, ნათესავი.

შამშეს მოეხერხებოდა და ეშოვნა ადგილი საბარგო ვაგონის კუთხეში თანაჩავარები თავაზობდნენ საქმელს, პაპიროსს. თავდაპირველად შამშე ამბობდა, რომ პირველსავე სადგურზე იყიდა თუთუნს, მაგრამ სადგურები



მბ. ორჯონიძე.
კავკასი. ს. წიჟ.-დროშოვან არმიის სამხ.-რევ. საბჭოს წევრი.

სადგურის მისდევდა და შამშე არც ამდგარა ადგილიდან.

ყველაზე გულგაუტეხელი შამშე იყო. ჯეროდა მდგომარეობა შეიცვლებოდა.

— და თუ არა, წავალთ ბატონო, სტამბოლში... იქიდან სხვა განათლებულ ქვეყანაში. მიგვიღებენ, თავსხლავს რაღა დაისხამენ. თუ ასეთ გასაპირის დროს არ მოგვკედავენ, აღარ ყოფილა ქვეყანაზე ნაშუსი!

მაგრამ შამშე არც სტამბოლში და არც სხვა ქვეყანაში წასულა. მიუახლოვდა თუ არა სამშობლო სოფელს, მიატოვა მატარებელი და რამოდენიმე მეზობელ ჯარისკაცთან ერთად სოფელისკენ გასწია.

შინაზე ძველი მდგურებიდან ყველა არ დახვდა. მის ოთახში იღვა შიფერი ცოლით. გვერდით კი ისევ უცნობი, ტყაის კურტკაში—ხელში მუდამ პორტფელი ეჭირა და სახე ქონდა გაუღიშარი.

ყველაზე მოუსვენარი შიფერი იყო. მასთან ხშირად მოდიოდნენ სტურები, უკრავდნენ მანდოლიანზე და ბალალაიკაზე, მალე ითვრებოდნენ და შემდეგ დაიწყებდნენ ღრიალს.

შამშე არავის გაცნობია და ან როგორ გაეცნობოდა, როცა მეზობლებიც არ აქცევდნენ ყურადღებას და თითონაც დაღამებამდე შინ არ ბრუნდებოდა.

სულ შეცვლია სახე ქალაქს. დაუკარგავს წინანდურა სიღინჯე, ვერ დამშვიდებულა, ხმაურობს ეტლებით, ავტომობილებით, ხალხით. დღე ისე როგორ გაივლის სამი-ოთხი დემონსტრაცია არ შეხვდეს. აფრიალებენ სისხლისფერ დროშებს, მთელი მკერდით მღერაან უცნობ პანგს.

გრძნობდა შამშე, რომ ეს ხალხი წინად არ მღეროდა ქუჩებში, რომ ეს პანგიც მათია, მისი მსგავსი ჯერ არასად გაუგონია—არც სოფლად არც ქალაქად. ჩოხის ჯიბეებში ხელჩაწყობილი ჩაუვლიდა, ჩუმათ მიაციენდა: — დაგიშვენდათ ცხვირი შეიდაცას თქვენ მღეროდეთ!

სადლის დროს მზე ცხელია. ასფალტიც მზურვალე და დაიხარ როგორც გაფიცებულ ტაფაზე. ასეთ დროს ალექსანდროვის ბაღს ჩაუვლიდა, ჩრდილოს მოძებნიდა. ჯარისკაცები და ბიჭები გოგოებში დახვარხვალბდნენ, მზეუშხირას ცაკლებს ფშვნიდენ კბილებით. მზეუშხირას ნაფურთხი კალოზე გაღვსილ მშესავით ეყარა სკამფიცირულეობან.

ნაცნობს შეხვდებოდა. ზოგიერთი ძველადვე პატივსაცემი იყო, ყველგან მიღებული. რა ოჯახები ქონდათ, პურმარილით დაძინებულნი! ჩამოჯდებოდა მათთან, ძელებს



ამ. კორკი. კავ. წით. -დროშა, არმიის ახალი სარდალი.

ყურს. აგონდებოდა ლამის თევები დღეობებში, სად ფეხი ხელა თავი თამაშობდაში. თეშში ჯირითი, ქორწილებში; მაყრობა. რა ღორები იკვლებოდა! შენს სახეს ვეციკავარ! ას მუცელს გააძღებდა. რა ჯიხვები ქონდა ყარამანს! რა ქალები იცოდა, რა ქალები—რომ დაბიჯებდენ კვალს დასტოვებდენ!

მეზობელ ოთახში სიხარულით შეხედენ სტუმრებს. ახმაურდენ სკაპები, ბოთლები, საინები.

რაც დრო ვადიოდა, ხმაყრობა იზრდებოდა. ვახარება ვეღარ ეტეოდა ერთ ოთახში და გამოდიოდა გარეთ. გამორეკა ოთახიდან წარსულით დღეობებში დავრთვილი მოწყენა. გამორეკა და შამშეს ბუნაგში შერეკა.

კიდევ უფრო დაპატარავდა ოთახი. დაეჟუნდა. სანათს რთვილი ვადეკრა. გამახვილებული ყური დარაჯობდა ყველა ხმას, ნაბიჯებს ტროტუარებზე, ოთახებში მეზობლების სიხარულს. შოფერი ღრიალეზდა ბოზი ხმით. იგონებდა სტენკა რაზინს დალილულს ქალის ალერსით. მანდოლინა და ბალაღი, ვერ დალაღდენ თითებს. როცა ვახარება აღარ ეტეოდა ტანში, ღონიერი ქუსლები ურტყამდენ იატაკს.

— ქეიფი არ იციან! ფიქრობდა შამშე, წესი არა აქვთ, ადათი! ხარითი სმა ვის გაუგონია!

უეცრად კარები გაიღო. შოფერის ცოლი შემოიჭრა. მარტოთ ყეოთ მამაკაცს არ დერიდა. ხელი დაავლო. წამოაყენა, სტუმრად მიიპატიჟა. სად შეუძლია ამდენი ცლა! ჩოხის შეზნევის მიფილი საუკუნე უნდა! ღონიერი ხელებით გამოათრია. ძლივი საყულის შეზნევა აცალა.

სითბო, სინათლე, ღვინის სურნელი, სიხარული შეეგება, ათასმა ტუზმა ვადაკოცნა. თევშეგ გასაძღობი დაუყარეს, კვარტებით დასალევი დაუდგეს.

— მეზობლები ვართ, ერთმანეთს უნდა ვიცნობდეთ, თქვენი ჭირიმე!—უხაროდა შამშეს, ყველა სადღეგრძელო სთქვა, წეღზე ღილი შეიხინა.

ეცადა შამშე სუფრის ადათი დაეცვა—ასე თავის ნებაზე ჭიქის დაცლა ჯერ არ ნახულა, ღვინოს რომ დალევი ვინმე უნდა ვახარო, ტუბილი სიტყვა უთხრა. შეიძლება თამადათაც აირჩიონ, სხვა მაინც ვერ გაუძღვება, მეზობლებთან თავს მაინც ისახელებს.

მარტო უდღეგრძელა შამშემ ყველას ოჯახი, მშობლები. არავინ გაუგონა. კვარტები ისედაც იცლებოდა, სიხარული ისედაც იზრდებოდა. ვეღარ აკაეებდენ ტანში სიმხურვალეს, აღარ ეტეოდა გულში ბედნიერება, ამოდიოდა ღრიალით.

— თქვენი ჭირიმე! უხაროდა შამშეს. დადნა მკერდში დაზავებულ ყინვა, სითბო სხეულში დაიღვარა.

ბალიშებში ჩამალული კატა დაინახა, ფინია კუთხეში მოქმენა. კატა გულში ჩაიჭრა, ფინია ილიაში ჩაისევა, მოუალერსა.

გაიგოს ოთახი ბედნიერებით. მეტი აღარსად დაეტეოდა.

სერგეი კლდიაშვილი.

დასვენებდა, უძიროს ცხვირით მიწიდან კენჭს ამოგდებდა, გულის მოსახეზნათ ერთ-ორ მაგარ სიტყვას იტყუოდა. როცა ყველა შემოეცლებოდა, ხარმაცათ გაყევიბოდა ვახს ოთახისკენ.

კარტში შოგების და ლოტოს იმედით სცხოვრობდა შამშე ტფილისში. დაიძობილა კარტის გამყიდავი და ხანდახან ნისიათაც ართმედა.

— მოგკემ შენ უ მომიკვდები! ასე ნუ კი მიყურებ! პატარა ქალაქში გლახა ძალიებით ყველა ვიცნობს. ფულს ვერავის ესესხები, არავინ გენდობა, ყველამ იცის რომ ვერ დაუბრუნებ. დიდ ქალაქში კი, ისე ღმერთი როგორ გაწყრება, დღეში ერთი მაღლიანი კაცი ვერ ნახო.

— აგერ ერთი საათით, სანამ სახლში მივირბენდე! შემდეგ თავს იმიოთაც იმართლებ—ვერსად შეგხვდი, რაღა იმ დროს შემიფეთე როცა ჯიბეზე არ მაქვს.

დიდი შაბათი შამშემ ოთახში გაითენა და დილიამა. არსად ვასულა.

არ დაუნახავს როგორ მოათრეოდენ ბაზრობიდან საკლავს და ღვინოს.

მეზობელ ოთახში მთელი დღე და საღამო არ დასვენებულა შოფერის ცოლი. ისმოდა საინების და ბოთლების ხმა, დერეფანიდან შემოდიოდა შემწვარის სუნი.

მეზღვაურებს შორს წასულ ბომალდებში, ჯარისკაცს სანგრებში, დარჩენილს დიდ ქალაქებში, კენჭ მოქალაქეს, მოგზაურს შორეულ ქვეყნებში თუნდაც ვახარებულს ყველაფრით—რომელს არ სწევია უსაბედი და გაუქაზრელი სევედა დიდი კვირების მოლოდინში!

წამოწვა შამშე ლოგინზე. ჩოხის კალთა სახეზე წაიფარა. ლამე გრძელი იწყებოდა, გათენება ენატრებოდა ჯერ ხარბი არ დაერეკათ, მაგრამ ძველი რეკა ესმოდა



აბაგის დაუბეჭდავი ლექსები და წერილები



ა ბ ა გ ი.

გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების გამო.

ცენტრალურ არქივის ქაღალდებში, გაზეთ „დროე-ბის“ საქმებში, აღმოჩნდა ჯერ დაუბეჭდავი, ცენზურის-გან დაჭერილი ლექსები აკაკი წერეთლისა.

პირველ ლექსს „სიმაართეს“ უნის თარიღი 1884 წ., 3 ოქტომბერი, ხოლო მეორეს — იმავე წლის 8 ოქტომბერი.

გვევლინებთ ამ ლექსებს ცენზურის შენიშვნებითურთ:

არ მინდა შენი „ნანინა“
და შენი ძილის პირები!..
მე დამაძინო ის გინდა
და შენ კი ლხინს ეპირები?

შენ დალაშქრებ მექალი
მე ველი გათენებასა...
გსურს შენს კილოზე ვიმღერო,
გადაჰყვე შენსა ნებასა?

ლექსს აქვს შემდეგი შენიშვნა ცენზურის:

По журналу Цензурнаго комитета 10 октября 1884 года. Определено: в виду 6 и 90 ст. Цензур-

აქვე მოგვყავს აკაკი წერეთლის ორი კერძო წერილი ერთი დავით ბაკრატიონთან, მეორე ივანე მაჩაბელთან აღმოჩენილი უკანასკნელის ქაღალდებში.

ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო ძ მ ა ო

დ ა თ ა !

„ძალის გუნებაზეა“ რომ იტყვიან, სწორეთ მე გამართება ასე: გამბრტყა მწუხარებამ და ისეთ ნაღველ-

ს ი მ ა რ თ ლ ე

ფუ! იმ მოედანს, სადაც
ვარები ბედაურობენ!
შაბაშ! იმ ერსა, რომელსაც
ულირსნი მეთაურობენ!!

და ვაი იმ ღროს, როდესაც
ველარ სპრის ჭკუა გონება,
და ყოველგვარი ღირსება,
ვერცხლთა აიწონება!!

როდესაც მონას უვალო
ზიზღითა თავზე აუფრთხებს!..
მონა კი სამაგიეროთ
ფეხებს ულოკავს!.. აკურთხებს.

მაშინ აღარ ღირს სიცოცხლე,
სიკვდილი სანატრელოა!..
მაგრამ უძებრად შურისა
ვაი, რომ ისიც ძნელია.

აკაკი.

ამ ლექსს დართული აქვს ცენზურის შენიშვნა:

По журналу Цензурнаго комитета 1884 года. Определено: в виду 6 и 90 ст. Цензурнаго устава напечатание воспретить и удержат при делах.

Председатель Комитета (подпись).
Член Комитета (подпись).

ტ უ უ ი ლ გ გ ო ს ა ნ ს

არ მოხერხდება... ვერ დავსთმობ
მე ჩემებურსა მღერსა,
სანამ ყურს ვუვადებ სიამით
მომძმეთა გულის ძვრასა.

შენი „ნანინა“ შენ გქონდეს!..
ეგ შენი მოსაწონია...
წადი სიდანაც მოსულხარ,
მშვიდლოის გზაცა გქონია.

აკაკი.

ნაგო устава напечатание воспретить и удержат при делах.

Председатель Комитета (подпись).
Член Комитета (подпись).

ში ჩავარდი, რომ თავტანის აღარა გამეგებარა!.. დღემო ასჯერ ვეკ თხები თავს უფონა თუ არ უფონა? მეთქი. და რომ არ მეწინაღეს ჩვენ ქვეყანაში სიკვდილის, სადაც მკვდრის შუურაცხეოვა და გაციტხვა იციან ხოლმე სხვა და სხვა სამასხარო მალაყებითა და უტიფარი ტიტინით, აო ვიცო რას აფუტუხები ჩემს თავს?..

ლკერთო ჩემო, ამ მდგომარეობაში უნდა ვყოფიდე, ვინ იცის, ორ-სამ თვეზე მეტი, სანამ ბანკიდან არ მომცივენ გირაოს. მოდი და გაუძელი ამდენ ხანს!?



შენმა, ბავრატონულად ახირებულმა წერილმა, ცოტახნობით კი მომიპირუნა გული. რომ, გაგხსენებია, მაგრამ შევლით იმანაც ვერ მიშველა. ნატასთან ხშირად დაედღივარ და აქ ყმაწვილებთან ღლამუცობით თავს ძალად ვაჯან, რომ მწუხარება შევიმსუბუქო ხოლმე, მაგრამ დიდი არა გამოიღის რა!—კიდევ კარგი, ესენიც რომ არ იყონ გავეცილებოდე სწორეთ.

არ ვიცი სად დავემალო ამ ავადმყოფობას... ამ სველას?.. შენი ნახვასაც მეშინია; შენც შენებურად მომიახებ: „ნეტაე შენ დარდი არა გაქვს! ახ და ახლა, ამგვარი დაგინება, ხომ სულ ბოლოს მომიღებდა. ზეგ რომ ხუთშაბათია ჩამოვალ, მაგრამ სად უნდა ჩამოხტეტი კი არ ვიცი?.. სასტუმროებში კრედიტი არა ჩაქვს და

ძვირფასო ძმაო და მეგობარო

ვ ა ნ ო !

გისამძიბრებ-დამარცხებას და იმავე დროს გილოცავ გამარჯვებასაც, რადგანაც მაგვარი დამარცხება—იფიქრებამარჯვება... სამწუხარო ის არის მხოლოდ, რომ უმეტესობა ძალმომრეობას ეთავყენება და ადვილათ შესადლებელია, რომ ბევრი სუსტი მეგობრები ჩამოვაშოროს, (მაგალითი ვგონებ კიდევ ნახე) და მოულოდნელი ღალატი გულს გატკენს.—მე კი პირადად ძალიან მიხარია შენი ამგვარი თავ გადასავალი: უფრო დაუცვირდები, უკეთ გაარჩევ ნამდვილსა და მოჩვენებულს; თორემ შენ დალოცვილი, აჩქარებთ თვითონ შენ შესვამ ხოლმე ბედლოვრ ზოგიერთებს, მავალითად ავიღოთ გინ „ლირის მეგობარი და თანამშრომელი“, ანუ ცეტრ-ბასილი ხ...გი, რომელსაც ძალიან უახლოვდებოდი ხოლმე, შენვე გამოგყავს საჯირითო მოედანზე და ბოლოს ვინდა, რომ ფეხდა ფეხ გამოედგე და განდობადო ცხენიდან უღირსი რა-ნღი!—რათ იჭირებე საქმეს? მაგრამ ნათქვამია: „წყალ-წოდებული ხავს ეკიდებოდაო“, ასე ძვირად ჩვენში საზოგადო მოღვაწე, რომ შენ ვინდა მატყუარებიც ნამდვილად მიიღოს. ახლა კი იმედი მაქვს გაფრთხილებები და სხვა რა გიქირს. მომავალი, ხომ თქვენი დასის იქნება. მე ევერ არა მაქვს. „იფერიისათვის“ რომ მივიმართავს, არ მომიწონს. მტრის ოჯახში მასპინძლობა შეუძლებელია.—დარწმუნებული ვარ, რამეს გიბრძოლებენ იქ.

„ობოზრენიაში“, ჰო, კიდევ და კიდევ რა გააწყობა. თუ მოახერხო, გამოძებნე სანდო პირი, რომ ბოლოს არ

კერძო სახლებში, ნაცნობებში, კი არავის ვუღიღებო! ზავებული რომ იყოს, როგორც აქებენ ბულვარში, სკამზე გაათევადა კაცი ღამეს, მაგრამ ახლა ზამთარია და გაცივების შემთხვევაში.. ღოხა, რომ იყოს მანდ, იმისთან ჩამოხტებოდა და იმისთან მოვიკუნჩხებოდა როგორმე. ის კეთილი გულის არის და შემობრალდება.. ღმერთი, რჯული, კოლაზე უფრო საშიში არ ვიყო, —და არაფერი წვაივებოდა. კნენია ტასის დიდ მარდობასა ესწორავ, რომ გამოხსენა და, თუმცა დიდი ბოდიშით კი, მაგრამ მანც ორი სიტყვა მომიძღვნა!.. ნიჭუნა და ელა დამიკოვნე.

შენი ძმა და ერთგულა და მოყვარული აკაკი.

ვადგეს და ვაზეთი ათხოვინე. მე იმედი მაქვს, რომ აქ ნება დართონ. დაპირებას არიან ჩემთან. მხოლოდ სანდო კი უნდა იყოს.—მე ძალიან აეთა ვარ, ასე რომ ტკივილები გულს მიუწუბუნებ ხოლმე. კარგი ექიმები მადგან თავზე და არ ვიცი თუ გაუძელი ღმერთმა ქენა, შეიძლება ერთი წლის შემდეგ ისევ ჩამოვიდე.—თქვენები ყველანი პატეისცემით მომიკითხე.—კნენია ტასოს ძმობის სიყვარულით ხელსკოცნის ვუმცხადებ...—ნატალიადა სიყვარულითა და პატეისცემით მოგვიკითხათ. ნუცას ანბავი არა ვიცი რა: როგორ არის შეილებით? გიგზავნი ამ პატარა ლექსს. ველიჩკომ დასწერა რუსულათ და მეც ვითომ გადავეთარგმნე. ჩაბაოს ხომ მაინც უყვარს კითხვა და რამდენიმე წამით თავს შეიქცევს. ნიკო დიასამიძეს ლავაშები გამოუგზავნა ჩემთვის, მაგრამ კიკო ჩოლოყაშვილის რძის საქმე დამართნოდა. ძალიან გაბრაზებულია ნიკო „ლირულზე მეგობარზე“. მისი ცოლი წაბოვიდა გუშინ, მანდღე საქმე უნდა გაარჩიონ და უთხარი ნიკოს სტენოგრაფიული ანგარიში ზისი საქმის თუ მანდ არ დაბეჭდონ, აქვე გამოგზავნოს. მე დავაბეჭდე და მაშინ გამოჩნდება მაგის ლირსტელობა.—ბევრი მინდა მოგწერო, მაგრამ ეს ოხერი გული რომ არ მიძღვეს ნებას. იყავე მშვილობით და შენებურად.

შენი ძმა და ერთგული აკაკი.

ვასო მომიკითხე მისის სახლობით. „იყვრია“ არ მომდის.

გ ა შ ი - ა რ შ კ

როგორც კინორიშანი.

აკაკი წერეთელი ცნობილია როგორც მოწიფი. როგორც პროზით-მთხრობელს მას არაინი იცნობს. არც სტილისა და არც კომპოზიციის მხრივ.


მრავალი მისი პროზაული ნაწერი დავიწყებასა მიცემული. ბავშვობაში წაგვიკითხავს და შემდეგ დავიწყებისათვის მივივითია. შემთხვევით თუ ავიღებთ ხელში, შემთხვევით თუ გადავფურცლავთ, შემთხვევით თუ გადავაყვებთ თვალს.

მეც ასეთი შემთხვევით მომიხდა მისი „ბავში-აჩუკს“ გადაკითხვა.

კითხვა დავათავე და გაცემული დავრჩი: პირდაპირ კლასიკური ნაწარმოებია. განსაკუთრებით ამბავის საოცარი ხვეულებით.

ღღეს რომელიმე ნაწარმოების ხვეულებს კინოს ხაზებით ვხომავთ. თუ ამ ხაზებით გავხომავთ „ბავში-აჩუკს“, მივიღებთ იდეალური კინორიშანს.

შეგჩერდები ზოგიერთ ადგილებზე. კინორიშანი უმეტეს წილ გაკვირვებით იწყება. აკაკიმ იცის ეს საიდუმლო და ამბავს გაკვირვებით იწყებს.



აზნ. კამენევი.
წითელ არმიის შტაბის უფროსი.

დიდი ციხე-დარბაზი არაგვის პირას ზაღ ერისთავის, ძველბურთი მუსაიფი თავდსა და მის ცოლს შორის, ცოლი გადასცემს ქმარს სიზმარს, რომელიც კირილე მღვდელს ესიზმრა. ქმარი მოიხიზმბს მღვდელს. მღვდელი მოუხარობს სიზმარს:

ალავერდის მონასტრის გველუშაში შემოხვეოდა. ხალხს იღუპებოდა. სამმა გმირმა გადაწყვიტა მისი და-ლახებრა. მოდის თეთრ-ცხენოსანი მხედარი და გველუშასს ჰკლავს.

ამბავი თავდება. იწყება საშინელი წვიმა. მეორე დღეს გველუშაშივე მოვარა აღდებულნი და ნაპირებგადალახული არაგვი, ხალხში გამოცნობის ფეკრი იღვლება: „მართლა გველუშაშივეთ არ მოაკლანება ეს არაგვი?...“

გაოცებას ემატება გაოცება. ვიღაც მოხდენილი ჭაბუკი მოაპობს არაგვს. გივი თუა—ფეკრობენ. ცენნი დილუტება. ვაგი ვადარჩება. ზაღს უფერის გაბედულობა და ვაეკაცობა. „აფხაზურა“ დაიღუბა. „არაბულა“ აჩუქა.

ვინ არის უცნობი? ქახეთიდან გამოგზავნილი იმერი. თავიდი ბიძინა თოხნის ზაღს დასმარებას სპარსების წინააღმდეგ ამხედრებისათვის.

ზაღს ჰკომანდობს. მოვლენ ქსნის ერისთავები—„შეთქმულდები“. ინასკება ძარღვი ამხედრებისა. მღვდელი მათ სიზმარში ნახულ მხედრებდა იღებს.

უცნობის სახელი არ ვიცით, გვინდა ვიცოდეთ. აკაკის უეცრად სხვა კუთხეში გადაყვევართ.

საწერეთლო. ბაქარა ბაკრაძე: კაცი და-წინააღმებულნი. ჰუავს ერთი ვაგი და ორი ქალი (ტყუებები). ჰუავს მმა კიკო: კაცი შურიანი და ბოროტი. სახადი მოი-ტანა შორიდან. ბაქარა და მისი ცოლი სენმა წაილო, ვაგი მათი კიკომ ნებაზე მიუშვა. ქალები გადასას ღვიმის მონასტრში. მაგრამ ვაგი სახელგნობნის მინცი.

წერეთლის ქორი ხის წვერზე ჩამოეკიდა. უნდა აუშ-ვან. ასულა ხეზე შეიძლება, ბაგრამ შტო კაცს ვერ დაი-კავებს. გამოჩნდება ბაქარას ვაგი. შეჩერდება. ვადმოი-ღებს თოქს. იღებს ნიშნში, ცხერის. ქორი შეფერთქილ-

დება. ცხერის მეორედ. ქორი ჩამოეშვება და აფორინდება დაედეგენიან. დაიქვრენ.

წერეთელი ბაქარას ვაქს თოქს აჩუქებს ოქროთი შემოსალტულს.

ამით შემთხვევა არ თავდება.

სარკელიდან თავადის ასული უტქერს ვაქს. მოხიბ-ლულია. სიყვარულის გამვლანება, შედიცვა. მაგრამ ქა-ლის: „მიჩვენე საქელის საგმირინი“,—და ვაგი კახეთს წავა ბიძინასთან ქელის გულის მოსაგებად.

ეხლა ჩვენ ვიცით ვინაობა იმ ყმაწვილის, რომელმაც ზაღ ერისთავს თავად ბიძინასაგან ფირმანი მიუტანა.

ასეთი ხელოვნებით არის დაწყებული სიუჟეტი. დაწყება უთუოდ არტისტული.

თან უარდესად კინემატოგრაფული. მაგრამ კინორომანს ფართო არე სჭირდება.

ის ეს არეც.

კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი. ოდნავ გავი-თოვებული რუსთაველიან შეჯიბრებაში შაჰ-აბაზი სწერს მის მეუქართი საცე წეროსი: რად ემზრობა ჩრდილოეთსო. ყოყმანი. სძლევს სარწმუნოება. თეიმურაზ და მისი დარ-ბაისელნი ჩრდილოეთს ირჩევენ. შაჰ-აბაზი ცეცხლ-თა და მახელითი ანადღურებს კახეთს. შედეგ: გადაგვიარება წარ-ჩინებულთა და ვაეკურება გლეხობიგა.

სხვათარიბა თავადი ბიძინა. იგი არ ემორჩილება სპარსებს. მაგრამ საწადელს რომ მიაღწიოს, „გარეგან“ გადავა სპარსელების მხარეზე. ემორჩილება და ემსახუ-რება ალი-ყული-ხანს.

ინადებიან მემამბოხეთა გუნდები. ბიძინა იღვალა ემთავრება გუნდებს.

თა საერთო არე.

თი ვისთან არის ბაქარის ვაგი.

შვიდადმოგ ნამდილი კინოპიზოღებიც.

ყვენის ტახტზე ამბანების დღეობაა.

იმართება ჭიდაობა. ქართველმა კოზმანიშვილმა დასკა სახელგანთქმული მოვიდავე სპარსი. ეხლა უბძანე-ბენ გოლიანი აბღუშაილს დაეკიდოს ქართველ მოქი-დავეს. ვერავინ პედავეს შეზამს. უეცრად გამოვარდება ბაქარის ვაგი. წრე ირკალება. გაეკანება შერდღულივით. შეუფარდება ფეხებში. დასცეს გოლიათს. აბღუშაილ დაიკურება ვაეკაციის შეუროცებით.

იმართება ჯირითა. შემდეგ ყაბახობა.

ყაბახად ოქროს თასია დასმული მაღალ ქაღარის წვერიზე.

ვერავნ შეარხია ნიშანი. უეცრად გამოიქრება ბაქა-რას ვაგი. სტყორცნის ჯირითს. ჰკრავს შუაგულში და შეაგ-ღებს მაღლა. თასი მოქპირს ბზილბზილით. ცხენს ბის ბირში მიავლდებს. შეაკენებს უქანა ფეხებზე და პავრ ში მოავლდებს თასს ხელს. შეძლავა ვაემაოთება ქენებით ქართველ დიდებულებისაკენ. ვითომ ზრდილორისამებრ აპი-რებს ვადამბოტობას. მაგრამ ვაეაფული ცხენი ხელს უშლის. მანინ ცხენდაცხენ გაუშვერს თასს ერთს დიდებულს, მო-ლალატე მაყაშვილს, შეძახილით: ღმერთმა ნუ მოვიშა-ლოს ვაეარჯევება ბატონ მაყაშვილსო! მაყაშვილი წამო-იწყებს და მასი თავი ვადაკეთილი მიწაზე კოტრილილს. მხედარი ვარბობს.

ყვირიან. ბაში-აჩუქ! ბაში-აჩუქ!
კუნთების დაქიმება საზღვარზეა მისული.



კონსტანტინე
ჩხეიძის
გამოცემის
გრაფიკული
სამსახური

აბ. შ. ელიავა. კავკ. წით. დროშ. არმიის სამხ.-რევივლ. საბჭოს წევრი, საქ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარე.

აქ აქაი შესვენებას იძლევა. მაგრამ შესვენებაში შეჰყავს სხვა ხაზი იმერეთში ქართლის მეფეა სტუმრად (ვებტანგი). აბაშიძეებმა მიართვეს მას ათი ახ. ლგაზრდა ქალიშვილი: ყვენისათვის დაგვირდება საჩუქრად. წერეთლებს ემზრებდათ. ცოც ბაქრაძე აქაც თავს წამოჰყოფს, მისი რჩევით ვახტანგ მეფეს მიართვევენ ბაში-აჩუკის ღებს საჩუქრად. საჩუქრისთვის საჩუქარი: დიდძალი ყმა და მამული ზემო ქართლში.

მიჰყავთ ქალები. მეფის ბარგს თავს დავსხმინად და ქალებს ანთავისუფლებენ.

ბაში-აჩუკი: ამბობენ. ამბავის ხერხემალი იკლავება სხვანაირად. უნდათ ბაში-აჩუკის დაქერა. მრავალი ოქროა გადაღებული.

ტერტერას ჭკრივს თიმ-სალმაქოს ოქრო უყვარს. ეწვევა ნათლიდეს თევდორაანთ მელანოს. იცის: ექ დადის ბაში-აჩუკ არ მიღის, სანამ წვივა. შემდეგ დაიძინებს: ვითომ საძინებელი მიიღო. შემოდის ღამით ბაში-აჩუკი, გადასცემს მელანოს ყველაფერს. თიმსალმაქოს ყველაფერი ესმის.

ტერტერას ჭკრივი მიდის ალი-ყული-ხანთან. ვადსაცემს: ამა და ამ ღამეს ბაში-აჩუკი იქნება თევდორაანთ მელანოსთან. ალი-ყული-ხან მოიხიბოს აბდუშაჰალს. უბრძანებს შეიპყროს ბაში-აჩუკი.

აბდუშაჰალ ნაფლიანობს: როგორ დაცემს თავს ქურდულად ვაეცას?! მიდის მელანოსთან. გოცდება მელანოს სიმამრით და სიმტკიცით. იღვიძებს მასზე რაან-

დული გრძნობა. გააფრთხილენ ბაში-აჩუკი: ეუბნება. მე-ღანი გოცებულია.

დანიშნულ დროს აბდუშაჰალ თავსდაცხმის მეღანოს სახლს, მაგრამ გაფრთხილებული ბაში-აჩუკი იქ არ აღმოჩნდება. იმავე ღამეს ტერტერას ჭკრივის სახლს გადაბუგავენ.

აბდუშაჰალის „ველად გაქრა“. აქ აქაცის შეაქვს რომანტიული ხაზი ფანტასტიკური ელვარებით. კინოსთვის ეს ხაზი უღამაზესია.

აბდუშაჰალ ტყის პირას. შეხვდება შველს. ისერის ისარს. დასტრის, შველი გარბის, მიდის ღამეს. ქალთან. ქალი ისარს მოაძრობს. განბანს. აბდუშაჰალს მონადირე ქალმწიფით ჰგონია. უახლოვდება. ქალს გული წაუყვავა. ვაეი აიყვანს ხელში მთრთოლვარეს. შველი წინ მიდის. ვაეი მის კავლს მიჰყვება. მივლენ შუამთის მონასტრის გალაკენებს. კარი დაკეტულია. დაასვენებს ქალს. გაღივანს შემოუარს. მოდის უკან: აღარც ქალი, აღარც შველი. სიყვარული და ნაღველი.

გატაცება და საოცრება. ამავე დროს სხვაგან იმართება.

ტერტერას ჭკრივი შურს იძიებს. იგი დასმენს: მე-ამოხენი შუამთის მონასტერში იმალებიანო. ბრძანება: გადაბუგონ მონასტერი. ასეც მოიქცევიან. ჯარის უფროსს მოხიბლავს ერთი ღამეში ქალი. გადაარჩენს: ხანს უნდა მოუქვნიან შენი თავიო. ქალი ფიქრებს იკრებს. სიკვდილს გადამარჩინე—მე ჯადოს მოვცემო: ეუბნება ქალი. რა ჯადო? აი ეს ხატი. უფროსი იცვობს. არ გჯერა? მაშ გულზე დაიკიდენ და მე ხმალს დაგვარებ, კანსაც არ გაგიჭრიო: ეუბნება ქალი. უფროსი ყოყმანობს. მაშ მე დამ-



ანბ. მისანიკოვი. კავ. წით. დროშ. არმიის სამხ.-რევოლ. საბჭოს წევრი.

კარ: ეუბნება ქალი. უფროსი ამართავს ხმალს. მოუქნევს. ხმალი ჰაერში გაუჩერდება: დაატყვევებს სილამაზე. აკი გითხარი, ჯადოა-თქო: ეუბნება ქალი. უფროსს გაიტაცებს ჯადოს სურვილი. ეხლა მოუქნევს და ქალი ორად გაიჭრება.

აქ კუნთების დაქიმვა საზღვარს სცილდება:

აკიცი მამართავს სიყვარულის სიღბილეს...

კუნთები წყდება. მათ შენდება უნდა.

ეს ამბავი ყველას უხარია.

არ უხარია მხოლოდ აბდუშაჰილს. გავარდება. ნახულობს ორად განკვეთილს ქალს. ცნობილობს: იცია, რომელმაც ტყის პირას დაატყვევა. ტირილი. ვაება. მიწას მიბარება. უკანასკნელი სედა.

ხშირად ბტარებს აბდუშაჰილს ღამეს ძვირფას სიმატრისთან.

აქ აკაიის შეატქვს კიდევ ერთი ულოდნელობა, რომელიც კიდევ უფრო რომანტიულია და კიდევ უფრო კინემატოგრაფიული.

ერთხელ საღამოს აბდუშაჰილს თავს დაადგება მისი საყვარელი ქალი. შიში. გოცება. კანკალი. ქალი უეკრად სიტკბილედ აქცევს: შიშს, გოცებას, კანკალს. მოკლული და აღმოჩნდება ტყუპის მსგავსი. გადარჩა მონასტრის აკლების დროს. სიხარული. აღტაცება. სიყვარული: უზომო, ნაპირებგადღაერული. ფიცი.

მაგრამ აკაიის ფანტაზია აქ არ ჩერდება.

შეთქმულთა ჯგუფი. ღამით მიღის მათთან მელანოქსი მიაქვს ვახშამი. შემოუსხდებიან. ხნაური. წამოვარდნიან. შემოღის პირიზისა (აბდუშაჰილის საყვარელი). გაუხარდებათ.

ტყვე მოვიყვანეთ: ეუბნება ქალი. გავარდება გარეთ და შემოპყავს აბდუშაჰილს, უკანასკნელი დაიძახებს: ბაში-აჩუკ!

ღიბს აბდუშაჰილს ეს ბაში-აჩუკია და მე ამისი და: ეტყვის ქალი. სიჩუმე და გოცება.

აბდუშაჰილ: გემცხედი მტერს, შეგხვდი მეგობარს.

ბაში-აჩუკ: შენ სტუმარი, ჩვენ მასპინძელი.

შემდეგ: კიდევ სიხარული და ერთმანეთის ვანდობა. აბდუშაჰილის ვინაობა.

ბაში-აჩუკი ურჩევს აბდუშაჰილს რომ მან მისი ფანჯარი წაიღოს: ბაში-აჩუკის მოკვლის ნიშნად ვითომ. კიდევ ძაღფიცულობა და ვანდობა.

მელანო წასვლას რო დააპირებს, მხოლოდ მასინ ამხელს: გამცილებელი სხვა საჭირო აღარ არის, ეხლა ჩემი ძმა წამიყვანს... აბდუშაჰილ მელანოს ძმა ყოფილა. კიდევ ულოდნელობა და გოცება.

როგორც კინოში ყოველთვის:

აქაც ეს ყველაფერი უკვე მომხდარია, როცა ბაში-აჩუკი ბრუნდება ქართლიდან.

შემდეგ მოთხრობილია აჯანყება. გამარჯვება. რისხვა შაჰაბაზის. წამება გმირების. ბაში-აჩუკის დაქორწინლება და სხვა.

აქ ვთავებ.

ბაში-აჩუკი კინორომანი შესანიშნავი. არ არის არც ერთი ცდენტი, კინოს მახასიათებელი, რომელიც არ იყოს აქ უხვად მოცემული: გმირობა, სიყვარული, საოკრება, ამბავთა ერთი მეორეში პარალელური შეტრა, ბუნება, შეთქმულება, ძაღფიცულობა, ხალხის ვარამი, ინტრიგის საოცარი ხლართი, დინამიურობა თანდათან, მაგრამ შესვენებისათვის არა პირდაპირი, არამედ მიკიბულ მოკბული, და არ ვიცი კიდევ სხვა რა.

ცხადია, თვითონ შინაარსი თხრობისა თანადროულობას ვერ შეეფარდება იდეოლოგიურად. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ბაში-აჩუკი ისტორიული მოთხრობაა.

აქვე მინდა აღვნიშნო შემდეგი:

ფანტაზიისმხრით ამ მოთხრობას ქართული ტერატურაში არა ჰყავს ტოლი. მე მაქვს მხედველობაში სხვადასხვა ხილვის ტეხილები. შემოქმედება აქ უფროა. მე გგონია, ბევრს უტყობ ვანთქმულ ნაწარმოებსაც გაუტოლდება იგი ამ მხრით.

ამ ნაწარმოებთ აკაიი წერეთელი ერთი ორად იზრდება.

რასაკირველია, სტილი წერისა და ხორცი სიტყვისა ილ. ჰაქვეთქვს უფრო უკეთესი აქვს. მაგრამ ილიას ფანტაზია აკლია. ასეთი ფანტაზია რომ ილიას ჰქონოდა, მისი ნაწერი უთუოდ მსოფლიო ფასეულობის იქნებოდა.

შეჩივება

დღეს შემოდგომის მახარებს ფერი,
გახუნებული ზეცა და ველი.
თვალებით მინდვრებს მოვეფერები
და მინდა ნახად გადუსვა ხელი.

მე თქვენთან ყოფნა მათეინიერებს
ფართეხმიანო, დილო კანდრებო!
თქვენს ახლო გული მაინც იმღერებს,
თქვენს ახლო მინდა დაბინადრება.

ღმერთო, რა რიგად მოგიწყენიათ!
დაუკორძია დროს თქვენი ტანიც...
მაგრამ ბედნიერს ხშირად მსმენია
თქვენ გადაგრეხილ შტოების ხმანი.

რაც იყო აღარ განმეორდება!..
თქვენ მძიმე ჩრდილებს ველარ შევხედავ...
გულში ცრემლები ხარბად გროვდება,
და ალერებას წარსულზე ვბედავ.

მე შეეურიგდი გარდუვალ ნებას;
მოგესალმებით ფოთლებო მკვდარო!
თქვენი მშობელი შტოები ხშება,
თქვენი პოეტიც დახრული არი.

მიუვარდა მზერა, როდესაც ელვა
და გრივალები თქვენ გუმბათს ხვედენ;
როს იღუმალი ჩემ გულს ღელვანი
მეფური ხმებით ტკბილად ანგრევედენ.

ო, მეგობრებო წარსულ დროების,
ფოთლები მკვდარი გადამაყარეთ.
მოგონებები მოდგენ ხროებათ
და თქვენ წინ თავი ჩუმათ დაეხარე.

და ზამთარს ველი მე გაბედულად;
შფოთავენ მწარედ დიდი ხეები...
მე თქვენ გშორდებით უსაყვილფროთ
ჩემ გაზაფხულის ოქროს დღეებო!

კოლაუ ნადირაძე.

ტფილისი, 1925 წ.
20 იანვარი.

კოლაცხია
ჩილ. შედოსანი
ქრეაუნა



კოლ ვერლენის ლექსები

თარგმანები ვალერიან გაფრინდაშვილის.

კალწულაგის სიმღერა

(წიგნიდან: „სატურნალიები“).



კოლ ვერლენი.

განთიადის ვარსკვლავს

წიგნიდან: „კარგი სიმღერა“

სანამ გაქრები ვარსკვლავო დილის
დილის სანათლეში მშვენიერებით

— ყანა ჯეჯილის

უკვე ხმაურობს ნახში მწყერებით.—

სულ ერთი წუთით შეხედე მგოსანს,
მისი თვალები ააბრწყინვალე!

— ჯერ არ სხივოსანს

ზეციას გააპობს ტოროლა მალე.—

იჩქარე, რადგან შენი სანთელი
ჩქარა ჩაქრება ცის კამარაში.

— კორიანტული

ისმის ბალახის მწვენივ არეში.—

მიხედი რით არის გული დამწყვარი,
ამოიკითხე ნამალი ფიქრის.

— კანკალებს ცვარი,

დილის ნიავე მოქირს და მიქირს.

უთხარი სატრცოს გულის ნადები
იქ, სადაც იგი არის სიზმარში.

ნუ გვიანდება,

მზე ამოვიდა სხივების მარშით!

ვართ ლურჯთვალა, როგორც ია.
უცოდველი ვართ გრძნობაში.
შთაგონებამ ჩვენ დაგვტია
სულ პატარა მოთხრობაში.

ჩვენ მიედევრათ ჩახვეულნი.
უღარდელი ვართ წყვილები.
მშვიდად ფუთქენ ჩვენი გულნი,
შორს არიან ყმაწვილები.

ჩვენსავეთ ვინ ინავარდებს!
ემზიარულობთ დღე ცისმარი.
ვიქვით პეპლებს, ვკრეფავთ ვარდებს.
შორს ბნელითი და სისმარი!

ჩვენ ჭილოდის ქუდს ვატარებთ.
მზე ვერ დაგვწვავს ახლა მკვეთრი.
თეთრ სამოსში ვინეტარებთ.
ვინ იქნება უფრო თეთრი?

გვიმღერიან მაცდურ ჰანგებს
დონ-ჟუანი და ჭობლაზი.
სიტყვებს, თვალეას, ვით ხაფანგებს,
გვიდამას თვითონ ლოველასი.

ამაო მათი ქვევა,
აშკიობა და ტრიალი.
ჩვენი დასი გაექცევა
მათ კაბების მწველ შრიალით.

ჩვენ ვაბრაზებთ მათ ოცნებას.
ვერ ითმენენ ის ოხრები
ჩვენ ზიზლსა და ჯადოსნებას,
ეხედებით ისე, როგორც მტრები.

მაგრამ ხშირად ტოკავს გული:
გვეშინია, რომ ავარებს
დაუძლეველ სიყვარულით
ტროიბის ღმერთი შეგვაყვარებს.

წიგნიდან: „სუსიტჰო კოვანსეი“

ტოტის სიმაღლიდან ბუღბუღი იცქირებ-
და მდინარეში და იმას ჰგონია, რომ შიგ
ჩავარდა. ის მუხის მწვერვალზე და მა-
ინც ეშინია დახრობის.

ს ი რ ა ნ ო დ ე ბ რ ტ ე რ ა კ .

ხეების ჩრდილი ჩაიძირა, ისე ვით გლოვა,
ბნელ მდინარეში.
ნამდვილ ტოტეში დიკენესებს გვრიტების გროვა
სიმწუხარეში.
მგზავრო! მკრთალი ხარ და მკრთალაა შენივე მზავები
ირგვლივ ბუნება!
შენ ფოთლებიდან იმედები დაკტარის თავზე,
და მოდუნება!

სანტიმანსალური დიპლომატი

მილია დე-ლილ ადანის გარდასვალაგან




წიგნიდან: „სიბრძნე“

ბალი სავსეა მკენარ ფოთლებს ცვითელ მარაგით. ორი აზრდილი პარკს ეწვია ზემ ლაპარაკით. უსიკრებლოა მათი ცქერა—ბაგენი—მგედარი. მათი ჩურჩული ისმის, როგორც შორი ავდარი. სად ხეივანი ფოთლებიდან ჩანს გაძარცვული, მკრთალ აზრდილებმა მოიგონეს თავის წარსული. „თუ გახსოვს წ.ტი, ერთმანეთი ჩვენ რო გვიყვარდა? — დიდი ხანია იმ სიყვარულს დაეშვა ფარდა.— ეგ შენი გული მოქანცული თუ ფეთქავს ჩქარა, როცა უეცრად გაიგონებ ჩემს სახელს? არა. შენ ჩემი სული ტკბილ სიზმარში თუ გეზანანება? — ო, მე არ ვიცი, და არ მახსოვს, ანუ მენანება! ნუ თუ არ გახსოვს ნეტარება და ჩვენი ფიცი? ნუ თუ არ გახსოვს ვენებელი კონცა? არ ვიცი. როგორც იმედს ცახტ იყო მზე აისოვლი. ახლა სამყარო ბნელ წყვედილით არის მოკული. ისმოდა პარკში მუსაიფი გულდამსურავი. ლანდებს უსმენდა შუალამე—მათი მზვერავი.

შენც მიგვატოვე, ისე, როგორც მზე ჩადის ზღვაში, მზე. დანრდილული პურპურების ალფირი ფარდით, რომ მოეწყინა მარტობა დიდებულ წვაში, უტყვი სამყარო და ლანდების მწუხარე დარდი. დას! შენ წადი უშიშარი, კმუნეთი ნახარდი, და შენ იციდი, რომ ნახავდი სამშობლოს ცაში. წმინდა გულისთვის იქ ზეიმის იშლება ვარდი, იქ სიყვარული უპასუხებს სიყვარულს ზრდაში. შენს მოგონებას ჩვენ ვინახავთ. ჩვენ გვიანდებით ამ ბნელ მიწაზე. აღარ მოსწონს კოცონი მზისა, და ფთორდებიან ოცნებათა უქმი ლანდები. ვილიე-დე-ლილ ადანი! ჩვენ გვეწყურია დღე შეხვედრისა! როცა ნათელი მარადისი წალკავს წყვედილს, დაუეწყურაო! ჩვენ გიმღერებთ ოსანანს დიად!

ბ ი რ გ ი ვ ე რ ე თ ე ლ ი

მოგონება



12 იანვარს, ძველი სტილით, სურულდება 25 წელიწადი რაც გარდაცვალა გიორგი წერეთელი საქართველოს დედა ქალაქს ტფილისში და დაკრძალეს დიდუბეში.

გ. წერეთელმა მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა სალიტერატურო-სამწერლო მუშაობაში და თითქმის ქალმით ხელში მოკვდა. 1900 წელს ბურების საკითხი მეტრატ გამოწვევებული იყო და მან, სწორედ სიკვდილის რამდენიმე დღის წინეთ, ტრანსვალიას რუკით ხელში დაწერა მათზე დიდი თანაგრძნობით სავსე წერილი. მისი თხზულებების აკადემიური გამოცემა აქამდის, დროს შეუწყობლობის გამო, არ არის გამოცემული და მხოლოდ ზოგიერთ ბელეტრისტულ თხზულებებს ბედმა გაუღიმა—დაიბეჭდა.

მისი მრავალ მხრივი მუშაობა, როგორც ისტორიკოსისა, არქეოლოგისა და სხვა ურცხვ—კითხვებზე დაწერილი მასალები აქამდის არ არი დაბეჭდილი და საზოგადოებისაგან თითქმის მივიწყებულია: ამ ბოლო დროს, როდესაც „კინო“ დაანახვა მისი რომანი „პირველი ნახიჯი“ (სამი სიცოცხლე) საზოგადოებას, მხოლოდ მაშინ გიორგი წერეთლის დფასებას შეუდგენ.

მე მინდა შევეხო ორ ინციდენტს ვისი მუშაობისას „ეკლავი“.

სანამ ამაზე ვიტყვი ორიოდ სიტყვას—უნდა დაეუბრუნდე მის რუსეთიდან ჩამოსვლის დროის ხანას.

1865 წელს ორიოდ პირმა, როგორც იყენენ: ნ.ლოლობერიძე, ისტორიკოსი და. ზაქარეი, ვახტ. თულაშვილი და სტეფანე მელიქიშვილი, რომელმაც სტამბა გამართა, დააპირეს პირველი გაზეთის გამოცემა „დროების“ და რედაქტორად ჩააყენეს 24 წლის ყმაწვილი კაცი—გ. წერეთელი.

იგი 1865 წლიდან თავგანწირულათ მუშაობდა გაზეთზე. გარდა გაზ. „დროებისა“ მან დაარსა სასოფლო გაზეთი. მაგრამ აუტანელ შრომით შეწუხებულმა 1869 წ. დამლეც მან გადასცა გაზ. „დროება“ ახლად რუსეთიდან ჩამოსულს სერგეი მესხს და სასოფლო გაზეთი—პეტროვ უშიკაშვილს, გიორგი წერეთელი მაინც არ იშლიდა ლიტერატურაზე თავდადებით მუშაობას და 1871 წ. დაიწყო ყურნალი „კრებულის“ გამოცემა, რომელშიაც გიორგისთან ერთად დიდ მონაწილეობას იღებდა ნიკო ნიკოლძე.

ეცრობასთან დაახლოვებით გაცნობის სურვილმა, დაახლოვებით მის შესწავლამ გაიტაცა გ. წერეთელი სამღვდარი ვარტ. მან დაარსა „კრებული“ კირ. ლორთქიფანიძეს, დააგირავა თავისი მამული და მოჰკვა ევროპის სხვა და სხვა ქალაქებში მოგზაურობისა. მაგრამ დიდხანს არ გაჰყვებოდა ცოლშვილით საცხოვრებლათ წალენჯიხე ფული. სახარის საწოწველათ ქალაქ ფრანკფურტში ატარებდა გასაყიდად წიგნებს და აქრცელდებდა ახლათ დაარსებულ ნახატებიან გაზეთს über land und meer და თითო ხელის-მომწერზე აძლევენ თითო მარკას (45 კ.).

გიორგი წერეთელი საზღვარგარეთიდან რომ ჩამოვიდა 1877 წელს ტფილისში, გატაცებული იყო საეკლესიო გაზეთის დაარსებით, მაგრამ ვერას გზით ვერ ახერხებდა. ნების არ აძლევენ. მაშინ, 1886—1889 წლებში დიიწყო თანამშრომლობა გაზ. „ივერიაში“. მას დაპაპრდენ სტრიქონობით გონიორას, იგი თემცა ხშირათ აწვილდა მასალას დასაბეჭდათ, მაგრამ უხალისით, აღმუცრათ უყურებდენ მის ნაწერებს და ეს თურმე საშინლით მოქმედობდა მასზე. ამას რომ დაეფიქრათ მატრიალური შევიწროება, რასაკვირველია, უნდა სულთი დაეცემულიყო. სწორით ამ დროს ტფილისის გუბერნატორმა, იოლოვსკიმ,



შეაქლია თავის კანცელარიაში მყოფდრო ადგილი და ჯამა-
გირითაც უხუხუნავად იქნებოდა, მაგრამ გიორგიმ, ცივი
უარი გაუხუხუნა.

1891 წელს იგი აწვიდა მასალას საყმაწვილო ყურ-
ნალ „ჯეჯელის“ („ჩვენი ძველი გმირები“, „ღვთისწყალობა-
ბა“ და სხვა) და რადგან შეუძლებელი გახდა სხვა გზით
გაზეთის ნებართვის გამოტანა, მაშინ „ჯეჯელის“ და-
მატებით ვითხოვეთ კვირეული გაზ. „კვალი“

1893 წელს იწყო გამოსვლა „კვალით“. არც ამას
შეუძლო დაემკათედლებინა გიორგი წერეთელი. პრორა-
მა შეეკვირა, შესულდული იყო. ქარიზია, პოლიტიკუ-
რი მიმოხილვა, კორესპონდენციები უხუხოთიდან აკრძალუ-
ლი იყო ამასთანავე ცენზურის კომიტეტის თავმჯდომარემ
არ იცოდა ქართული ენა. ჩვენ ცენზორს, რაფიელ ერის-
თავს არ ვაწუხებდით, რადგან ავადმყოფი იყო და ისიც
მაღლ დიფთიზის; ჩვენები თავს არ იტყვდნენ ცენზურობი-
სათვის, რადგან ამბობდნენ: არ გვიინდა ვიცოთოთ ენის
ჯალათობა და მათთა ჩვენი ბედ-იღბალი ჩაივარა კო-
მიტეტის თანაშემწის, ქიშიშიშვიის ხელში, რადგან მართო
მან იცოდა ქართული.

მან აითვალისწინა გიორგი წერეთელი, მის ნაწერე-
ბის შესახებ დიდ სასტიკობას იჩენდა და როგორც ის
ავგონებდა თავის უფროსს, ისე ვაკაყავდა ნაწერები.

პირველი ინციდენტი გიორგი წერეთლის გულის
მოსაკლავი შემდეგი იყო: შეწუხებულთ პროკრამის ვიწრო
ფარგელში მუშაობით იგი მაინც არ კარგავდა ენერჯიას
და ბძოლით ვაკაყავდა თავის ნაწერებს. ეტყობა მობეზრ-
და და დუღავთოვლი თანამშრომელი ტ კომიტეტის თავ-
მჯდომარემ მიიღო მოწყალეობა და მირჩია პროკრამის გასა-
ფართოებლათ ქალაქი შემერთანა და მეთხოვნა პოლიტი-
კურ მიმოხილვას, ქრანკის ნება მოუკათა, მაგალიათად
ქიდივე, როგორც ჰქონდა კვირეულ გაზეთს „ნივა“ს.
სთავიდან გავაზენეს რუსეთში და ამის პასუხს გულის-
ფანქვალით მოველოდებოდით.

ეს სანატრული დღეც დადგა. დამიბარეს კომიტეტში
ნების გამოსაცხადებლათ. გიორგი შემოხვეულთ თავის
ახალგაზრდა თანამშრომლებით (გ. დიასამიძე, კ. დოდაშვი-
ლი, გრ. აბაშიძე, ი. ფანცხავა და სხვებით) უტყდიდნენ ჩემს
დამბრუნებას.

ბ ი ო რ გ ი წ ე რ ა თ ე ლ ი

გიორგი წერეთელმა ჯერ სამშობლოში, შემდეგ რუ-
სეთსა და ეროსში მიიღო განათლება და ღირსეულა-
დაც მოახმარა იგი თავის ხალხს. გიორგის განათლება
როდი იყო შესულდული რომელიმე სპეციალობით. იგი
იყო ფართო განათლებს კაცი თანამედ მისი დროის
მოთხოვნილებითა და მართლაც ეს ფართო განათლების
დალი ასეთი მის მრავალმხრივ მოღვაწეობას. იგი იყო
ჟურნალისტი, ისტორიკოსი, არქეოლოგიც, ბელეტრის-
ტიკშინი „უჯრელი“ იმან შემოიღო და პრაქტიკული მო-
ღვაწეც. იგი, არა თუ თვითონ გულმოდგინედ და დაუს-
ვენებლად შრომობდა, არამედ მუდამ იმის ცდაში იყო,
რომ ახალგაზრდობაც ჩაება შრომის უღელში, წყაბათსიყ-
ბა, სითამანე მიეცა მისთვის მოღვაწეობის ასპარეზზე

მე კრძალვით შევალე კარი კომიტეტში. მძიმე
ვის დაკვირვით მიუფლობელი თავმჯდომარის. მან მითხრა:
„ჩემი დანახრები ნება-თვა მოვიყიდათ ისეთი, როგორც
ქალაქი გავგზავნეთ, ახლა თქვენზეა დამოკიდებული
რომ კარვით წაიყვანოთ საქმე. იშოვეთ უფრო სანდო
თანამშრომლები, საიმიერ პირები და არა იმისთანები,
როგორც არის გიორგი წერეთელი. იმისთანებს სუ მთლშვებით
თანამშრომლათ“.

მწარე ღიმილს შევიცა, თავი დაუყოლო და გამო-
ვედი. მომესმა სიცილ-ხარხარი, თორემ მაშინ შეიტყო
თავმჯდომარემ, თუ ვინ იყო გ. წერეთელი.

რედუქტიაში რომ დაებრუნდი, ყველანი ისეც ისე
მელოდნენ. მუშებარ სახით შევდი-პროკრამის ვაფარ-
თობის ნება კი მომცეს, ვეთხოვარი მე,—მაგრამ ძველი
პირობა დამიძეს—გიორგი წერეთელი არ მიიწვიით თანა-
მშრომლობათა.

ამაზე ყველამ სიცილი ასტება. 1896 წელს გიორგიმ
შეიტანა თავისი ახალი რომანი სახელად „გულქანი“ ცენ-
ზურის კომიტეტში ნების ასაღებათ. უნდოდა „კვალის“
ხელისმიწერლებ:სათვის საწეჭად დაერეგბინა. „გულ-
ქანის“ ორი ნაწილი წარადგინა, მესამე დამთავრებული
არა ჰქონდა. კომიტეტმა ქიშიშიშვიის ჩაგონებით „გულ-
ქანი“ არ გაუშვა. ვერას გზით ვერ ვუშველოთ.

ამ ამბავმა გ. წერეთელი ისე შეაწუხა, რომ „გულ-
ქანის“ დამთავრების ხალისი აღარა ჰქონდა და შოლოდ
პატარა-პატარა ესკიზებს ათავსებდა „კვალი“.

გვიდა მას აქეთ სამი წელიწადი, 1899 წელს, რო-
დესაც ქართულ ცენზორად გვეანდა ახალგაზრდა ყმაწვი-
ლი გ. ურუშელი, მაშინ უხუხუნად დადებრუნდი „გულქანს“
და ახალი სათაურით „პირამზე“ დავიწყეთ მოთავსება
„კვალი“ში. დაიბეჭდა თერთმეტი ფელეტონი. მეთორმეტე
ფელეტონის დაბეჭდვის დროს, ახალგაზრდა ცენზორი,
გა ტაკებული მშვიდობი აწერილობით ქალების აღზრდისა
„ზვედენიაში“, მოკვეა სიცილს. ამ დროს მიაქცია ყურად-
ღება „გულქანის“ ჯალათმა, შეადარა აწერილი ადგილები
დატყვევებულ გულქანს და მათდა ერთი ვივაგაღმა. არა
თუ შეაჩერეს „პირამზის“ ბეჭედა, თვით კვალიც უნდო-
დათ დაეურათ.

ა. წერეთლისა.

გამოსვლისათვის. მე პირადად ვიცო მრავალი ამგვარი მა-
გალითა.

გიორგის შრომისმოყვარობა არ იყო საკვირველი
მისი თანამეურვეთათვის. ვერავინაც ვერ უტიკონებს სი-
ხარამაცენ ნ. ნიკოლაძეს, სერგეი მესხს, ილიას და აკაკის,
დმიტრი ბაქრაძეს, მოსე ჯანაშვილს, სანდრო ყაზბეგს,
ენო მანაშელს, ვასო აბაშიძეს, ლადო მესხიშვილსა და
მრავალ მათ დროისა და შემდეგი ხანის მოღვაწეთაც,
მაგრამ ისეთი შრომა, რომელსაც გიორგი აწარმოებდა
და რომლის მოწმეც მე ვიყავი 1894 წლიდან, მართლაც
საკვირველია და აღსანიშნავიც არის.

ამ ხანებში მაინც გიორგი ჩაუტყველიც იყო, დაუ-
ხურველიც და ნახევრად მშვიტიც. თუმცე ვაკვირებული
წერილშვილის პატრონი იყო, მაგრამ დღეურად გატყე-



ბული, იგი ისეთ მუშაობას აწარმოებდა, რომელიც სრულებითაც არ უზარუნველყოფდა მისსა და მისი ოჯახის კეთილდღეობას. მას ედგა საწერი მავიდა თვისი სამუშაო ოთახის შუა ალაგას. მასზე ელაგა სხედ-სხედგავარი ხელნაწერები, საკორექტურო ფურცლები, ანგარიშები, გაციგებული ჩაი ქიქაში, ნაჭერი პერი და სხვა. ამ ოთახში მოიპოვებოდა შინაურები და გაერუნები. აქვე სწარმოებდა მათ შორის ხმაწალაღა ბაისი, კანათი და ყველგვეგვარი საუბარი. ამ ს მიუხედავად, გიორგი თავიანუწული იჯდა და მუშაობდა. ზოგჯერ კამათსა და საუბარშიც ჩაერეოდა მიჟელ ხნით და კვლავ წყება მიჟყოფდა ხელს ის თითქმის ეს ხაურობა მას სრულიადაც არ უშლისო. და მართლაც არ უშლიდა. იმ დროს, როცა ამისი თანამედროვე მუშაოს ცოტად თუ ბევრად ისეთ საქმესაც ეტანებოდნენ, რომელიც უზარუნველყოფდა მათ არსებობას, გიორგი ერთხელაც არ ჩასქიდებია ასეთ საქმეს და მუდამ ფრიად ხელმოკლედ იყო. ეს კი არა და მუდამ იმის ფურქმი იყო, როცა მოიკლდა, თუ როგორ მოეწყო ხელი ავკისათვის, რათა მას ჰქონოდა თავისუფალი კუთხე წერიასათვის და ახერხებდა კიდევ, დაუმზადებდა ხოლმე ცალკე ოთახში მავიდას საწერ-კალმითა და ქალაღდით, სადაც ავაკი ხშირად სწერდა ხოლმე.

ერთხელ გიორგის ვესტუმრე სწორეთ ისეთ არცა ავაკი შეეყვანა ცალკე ოთახში და თვითონ კარგების გასაღების ტუქრუტანიდან უტქერდა. შევიდა თუ არა გიორგის ოთახში, მიმობრუნდა, მიმესალმა და მიმიყენა ტუქრუტანასთან.— შეხედ, შეხედ, როგორ ყალყულდ-გას თმა და როგორ ღლიღინებს, ლექსის დაწერისათვის ემზადება. უუურე!

თუ სამეფო საქმეზე, კრებაზე, სტამბაში წასასვლელი არ იყო, გიორგი მუდამ მავიდას უჯდა და სწერდა. თუ არ სწერდა, კორექტურას ასწორებდა ან კითხულობდა. ძალიან უყვარდა ახალგაზრდობა და მასთან სჯა-ბაასი. შრომას გიორგი ჯერხნობით თითქოს კარგად იტანდა და ბოლოდინაც კარგად აიტანდა, რომ კარგი საზრდობა ჰქონოდა, მაგრამ ცუდმა საზრდობამ და ზედმეტმა შრომამ დასძლია გიორგის ბუნებრივად ძლიერი სხეული და ჯერ კიდევ არა მოხუცებული იმსხვერპლა კიდევ.

ფრიად სასულიერო და სასარგებლო ოქნებოდა მისი ყველა ნაწერების გამოცემა. ეს გამოცემა სასეხით დაარ-ჴმუნებდა მკითხველ საზოგადოებას აქ ნათქვამის სინამდვილეშიაც და მისი მოღვაწეობის სიღიადეშიაც.

ივანე ელიაშვილი.

მიზორგის მანიშესტი

1925 წ. რევოლუციის პირველმა ტალღებმა აძლულეს ნიკოლს II-ის მთავრობა ვაიკოა ჩვიდმეტი ოქტომბრის მანიშესტი. ეს რევოლუციის პირველი ნაბიჯი იყო გამარჯვებისკენ, რის შემდეგაც მუშათა კლასი უფრო მეტის სიმძნელით შეუდგა მზადებას უსაქანსადი იერიშის მისატანად მეფის ტახტზე. საერთო გაფიცვა, შეიარაღებული აჯანყება, მთელი რუსეთი რევოლუციის ეკემში გაეხვია. ბუ-უფუზია კი 17 ოქტომბრის მანიშესტით დაქყოფილებული განვე გადგა და აჯანყების გადაწყვეტ წუთებში იმ პასურობასაც აღარ იჩენდა როგორც 17 ოქტომბრამდე, დამარჯხდა შეიარაღებული აჯანყება, აიშარა სახმობლები, ვადიწუა მუშათა უნებნი და რევოლუციონური სოფლები, რეგოლოციონური ორგანიზაციები სარდნებში ვადვიდნენ და აქ ემზადებოდნენ შემდეგი იერიშისთვის. მიუხედავად შვეი რეაქციისა რევოლუციონური სურისკეთება მუშათა მასებში არ კლებულობდა და 1906 წ. პირველ ნახევარში თითქოს კიდევ უფრო ვაიზარდა. სწორეთ ამ დროს მეფის მიერ იქნა მოწვეული პირველი სახელმწიფო სათათბირო, რომელსაც ვითომდა ჩვიდმეტი ოქტომბრის კონსტიტუცია ცხოვრებაში უნდა ვაეტარებინა. ყველა ღიბერალური თუ სოციალისტური პარტიები მთელი თვისი არსებით შეუდგნენ არჩევნებისთვის მზადებას. ამუშავდა ქვეშაბიტ რუსთა კავშირი, რომლის საშველებითაც მთავრობას სურდა სათათბიროს შემადგენლობა შვერახული ყოფილიყო. მხოლოდ ლენინი არ ემბეგბოდა საერთო ფერხულში, მან სათათბიროს პოიკით გამოეყენადა, რამაც სოც-დემოკრატიულ პარტიაში მთელი აურხაური გამოიწვია. მას ბლანკისტს უწოდებდნენ. ლენინს კი ის რევოლუციონური განწყობილება, რომელიც მუშათა მასებში იყო მაშინ ათას


სათათბიროს, ეჩჩია და ურჩევდა პარტიას ბოიკოტით შეხებოდნენ სათათბიროს, რათა ყალბი ილუზიები ვაეფანებოთ მასებში და სულიერი ვანწყობილება რევოლუციისკენ მიემართათ.

შეიკობა სათათბირო. მთავრობის იმედები რომ იგი-შვერახული ვამთავებოდა არ ვამართლდა და მეფის წინააღმდეგ ვანწყობილმა დემოკრატია სათათბიროს მემარცხენე დებუტატები ვაუჯავნა.

რამდენიმე კვირა ითათბირა სათათბირომ, რომელსაც უნდოდა დაეყოლებოთ მთავრობა, რომ მას ჩვიდმეტი ოქტომბრის მანიშესტი ცხოვრებაში ვაეტარებია, მაგრამ გამარჯვებული რეაქცია ვანავარძოდა თვისი საქმეს და ყურადღებას არ აქციედა სათათბიროს ლაყობას, რომელიც მალე მოსწყინდა და ერთ-მშვენიერ ღღეს ის დათხოვნილად ვამათცხნადა. ქიას რომ ფეხი დააკირო ისიც ვაიარყევა. აქ კი ვეღარ მოითმინეს და ფერულწოდებულმა მემარცხენეებმა: კადეტებმა, სახალხო სოციალისტებმა და მენშევიკებმა დასტოვეს პეტროგრადი, ვადვიდნენ ვიბორგში და ვამოუშვეს მანიშესტი, სადაც აღნიშნავდნენ რომ ჩვიდმეტი ოქტომბრის დაპირებანი ყალბი ვამოკდა, რომ მთავრობამ მოატყუა ხალხი და მოუწოდებდნენ რუსეთის ხალხს აქტიურ ვამოსვლებისსკენ.

ამ მანიშესტის თავისებურათ ვამოყენება მიინდომეს რევოლუციონერებმა და ვადასწყნდა მისი ფართოთ ვაფერყლება. ქუთაისში ამ მანიშესტის რამდენიმე ეგზემპლარი მივიდა, რომლის ტექსტი ვაზუსტის ნახევარ ვაერუნე უდრიდა. საჭირო იყო ვადაბეჭედა რამდენიმე ათასის, მაგრამ უბედურება ის იყო რომ საიღებლო სტამბა პატარა ფორმატის იყო და ამას ვარდა ათასობით ვადაბეჭედა დიდ დროს მოითხოვდა.


გ ა ჯ ე ს ი



შ ე ნ დ ე ბ ა



„წიგის“ ხეობა.



კოლექცია
ჩ. ჯ. შ. ა.



„წიგის“ ახ. მდინარე ხეობა.



საქმე კი დაყოვნებას არ ითმენდა და ბოლშევიკურმა კომიტეტმა გადასწყვიტა მანიფესტი რევოლუციონური წესით დაებეჭდა. ალხიანოვისაგან ვადაშვიარ ქეთისას ჯერ ისევ კვაბლი ადიოდა, დღე არ გავიდოდა რომ ქალაქის რომელიმე ქუჩაზე არავინ მოეკლა გამხეცებულ ყაზახებს, რომლებსაც ქალაქის ქუჩები სამხედრო ბანაკით გვხვდნენ. გარეთ გამოსვლის ვერაფერი შეუძლებელი იყო. ვერც დღე ვერც ღამით. და აი ამ დროს დილით 8 საათზე შუა ქალაქში რევოლუციონერებისაგან შემდგარმა პატარა ჯგუფებმა, რომელშიაც ოთხ-ოთხი ამხანაგი შედიოდა დაიკავა ორი სტამბა: ქარნახოვის და ფერადის. კოსტა ჩხენკელი, მე, აკაკი დალაქიშვილი, თეოფილე კაკრიაშვილი და ორი ასოთ-ამწყობი შევიდით ფერადისთან. სტამბაში მუშაობა დაწყებული იყო, გარდა მომუშავეთა იყო კიდევ რამდენიმე ვარემუ პირი. ჩვენ შესვლას მინაც და მინაც არავითარი შთაბეჭდილება მოუხდენია, მხოლოდ მუშები, რომლებიც გვიცნობდნენ გაკვირებით შეგვცნობოდნენ.

გვიხმეთ სტამბის პატრონი ფერაძე და აუსხენით, რომ მისი სტამბა დღეს ჩვენს განკარგულებაში უნდა იყოს და გაეფრთხილებო, რომ თუ პოლიციამ გაიგო ჩვენი აქ ყოფნა ჩვენ ჯაღის სროლით შევხედებოდი და ბლარ ვიქნებოდი პასუხისმგებელი იმაში, თუ რა დავმართებოდა თვითონ პატრონს სტამბისას. საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა ფერაძე, მას თავი სიხმარში ეგნა. ფანჯრის იქით ქუჩაში ხედავდა ჯგუფ-ჯგუფით მოსარაგები ყაზახები და პოლიციელებს, აქ კი მას თავზე დასდგომია თავზე ხელ-აღებული ხალხი და მისგან სტამბის დათმობას მოითხოვდა. მაგრამ რა იქნა, ხედავდა ჩვენ თამამ დადაწყვეტილებას, რისი დამამტკიცებელიც იყო მის მიერ შემჩნეული ყუმბარები და თითო. კაცზე რამდენიმე რევოლვერი. მუხლთ ჩაყვაცა და წაილულდა, მე ვერ დაგთანხმდებოდა და თქვენ რა გინდათ ჰქვინათ.

